

შპს მაქრო ფუდი

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	8
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	12
5. სავაჭრო მოთხოვნები	12
6. მარაგები	12
7. ძირითადი საშუალებები	13
8. სავაჭრო ვალდებულებები.....	14
9. სესხები	14
10. საწესდებო კაპიტალი	14
11. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	14
12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15
13. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	16
14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	16
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19 (გადაანგარიშებული)	31-12-18 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	8,691	13,043	11,928
სავაჭრო მოთხოვნები	5	2,784	31,415	22,475
მარაგები	6	79,356	101,890	171,212
სხვა მიმდინარე აქტივები		1,082	30,085	3,884
სულ მოკლევადიანი აქტივები		91,913	176,433	209,499
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	158,233	214,299	146,373
სულ გრძელვადიანი აქტივები		158,233	214,299	146,373
მთლიანი აქტივები		250,146	390,732	355,872
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	2,354,301	2,165,835	1,234,164
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		455,573	504,403	331,313
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		20,390	162,475	43,956
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,830,264	2,832,713	1,609,433
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	9	4,135,221	3,976,938	3,318,675
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,135,221	3,976,938	3,318,675
მთლიანი ვალდებულებები		6,965,485	6,809,651	4,928,108
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	1,337,780	107,175	119,775
აკუმულირებული ზარალი		(8,053,119)	(6,526,094)	(4,692,011)
სულ საკუთარი კაპიტალი		(6,715,339)	(6,418,919)	(4,572,236)
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		250,146	390,732	355,872

დირექტორი -----

უნსალ იელთან

შპს მაქრო ფუდი

ფინანსური ანგარიშგება 20 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31-12-20	31-12-19 (გადაანგარიშებული)	31-12-18 (გადაანგარიშებული)
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	8,691	13,043	11,928
სავაჭრო მოთხოვნები	5	2,784	31,415	22,475
მარაგები	6	79,356	101,890	171,212
სხვა მიმდინარე აქტივები		1,082	30,085	3,884
სულ მოკლევადიანი აქტივები		91,913	176,433	209,499
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	158,233	214,299	146,373
სულ გრძელვადიანი აქტივები		158,233	214,299	146,373
მთლიანი აქტივები		250,146	390,732	355,872
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	2,354,301	2,165,835	1,234,164
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		455,573	504,403	331,313
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		20,390	162,475	43,956
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,830,264	2,832,713	1,609,433
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	9	4,135,221	3,976,938	3,318,675
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,135,221	3,976,938	3,318,675
მთლიანი ვალდებულებები		6,965,485	6,809,651	4,928,108
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	1,337,780	107,175	119,775
აკუმულირებული ზარალი		(8,053,119)	(6,526,094)	(4,692,011)
სულ საკუთარი კაპიტალი		(6,715,339)	(6,418,919)	(4,572,236)
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		250,146	390,732	355,872

დირექტორი



უნსალ იელთან

მოგება-ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	894,066	2,728,146
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	11	(365,767)	(1,123,604)
საერთო მოგება		528,299	1,604,542
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(523,388)	(1,289,367)
ხელფასები და სხვა სარგებელი	13	(615,420)	(1,657,582)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	7	(71,858)	(59,021)
სხვა შემოსავლები		83,992	7,640
სხვა ხარჯები		(90,429)	(523)
ზარალი პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		(688,804)	(1,394,311)
საპროცენტო ხარჯი		(440,662)	(301,767)
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(397,559)	(138,005)
ზარალი დაბეგვრამდე		(1,527,025)	(1,834,083)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		(1,527,025)	(1,834,083)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)		119,775	(4,692,011)	(4,572,236)
წმინდა ზარალი		-	(1,834,083)	(1,834,083)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	10	(12,600)	-	(12,600)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	10	107,175	(6,526,094)	(6,418,919)
წმინდა ზარალი		-	(1,527,025)	(1,527,025)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	10	1,230,605	-	1,230,605
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	10	1,337,780	(8,053,119)	(6,715,339)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19
საოპერაციო საქმიანობა			
ზარალი დაბეგვრამდე		(1,527,025)	(1,834,083)
კორექტირებები:			
საპროცენტო ხარჯი		440,662	301,767
ზარალი საკურსო სხვაობიდან		397,559	138,005
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი		71,858	59,021
ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯი		1,672	-
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში		28,631	(8,940)
ცვლილება მარაგებში		22,534	69,322
ცვლილება სხვა მიმდინარე აქტივებში		29,003	(26,201)
ცვლილება სავაჭრო ვალდებულებებში		188,466	931,671
ცვლილება გადასახდელ ხელფასებსა და სხვა სარგებელში		(48,830)	173,090
ცვლილება სხვა მიმდინარე ვალდებულებებში		(142,085)	118,519
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(537,555)	(77,829)
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(17,464)	(126,947)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(17,464)	(126,947)
ფინანსური საქმიანობა			
პროცენტის გადახდა		(521,033)	(151,604)
სესხის (დაფარვა)/აღება		(158,905)	370,095
საწესდებო კაპიტალის გაზრდა/(შემცირება)		1,230,605	(12,600)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		550,667	205,891
ფული და ფულის ექვივალენტების (შემცირება)/ზრდა		(4,352)	1,115
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	4	13,043	11,928
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	4	8,691	13,043

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მაქრო ფუდი დაფუძნდა 2016 წლის 21 აპრილს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, რუსთაველის გამზ., №28 / ალ. ჭავჭავაძის ქ., №2. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 404512498. კომპანიის 100% წილის მფლობელია ფიზიკური პირი: ემინ უჩარ (15682411266, U 08449945, 01701133796).

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სარესტორნო ბიზნესი. კომპანიას აქვს როგორც ადგილზე მომსახურების, ასევე მიწოდების (დელივერი) სერვისი. რესტორანი მდებარეობს თბილისის ცენტრალურ უბანში, რუსთაველის გამზირზე. რესტორნის ბრენდული სახელია „დაინჰოლი“.

კომპანია საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს აღმასრულებელი დირექტორი - მურათ ავჯი (21067053150, U 11214185, 01991004483).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ განაგრძონ მისი საქმიანობა საქართველოში.

COVID-19-ის პერიოდში, ტურისტულმა და სარესტორნო ბიზნესმა განსაკუთრებული დარტყმა მიიღო მომხმარებლების რაოდენობის შემცირების გამო, თუმცა ამ ანგარიშგების თარიღისთვის, რესტორანი გახსნილია და სრული დატვირთვით ფუნქციონირებს. მენეჯმენტმა გააკეთა პროგნოზი და შესაბამისი ანალიზი, რაზე დაყრდნობითაც მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და

ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2020 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ყველა ის ფინანსური უწყისი, რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	31-12-19	31-12-18	31-12-17
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	13,043	11,928	47,404
სავაჭრო მოთხოვნები	31,874	22,475	6,698
მარაგები	101,890	171,095	33,809
სხვა მიმდინარე აქტივები	7,467	3,617	8,442
სულ მოკლევადიანი აქტივები	154,274	209,115	96,353
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	202,938	143,719	66,724
სულ გრძელვადიანი აქტივები	202,938	143,719	66,724
მთლიანი აქტივები	357,212	352,834	163,077
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	2,177,686	1,242,812	2,235,762
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი	96,906	104,342	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	135,323	32,351	28,837
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2,409,915	1,379,505	2,264,599
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	3,976,938	3,318,675	1,206,372
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	3,976,938	3,318,675	1,206,372
მთლიანი ვალდებულებები	6,386,853	4,698,180	3,470,971
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	107,175	119,775	119,775
აკუმულირებული ზარალი	(6,136,816)	(4,465,121)	(3,427,669)
სულ საკუთარი კაპიტალი	(6,029,641)	(4,345,346)	(3,307,894)
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები	357,212	352,834	163,077

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	31-12-19	31-12-18
შემოსავალი რეალიზაციიდან	2,728,146	2,990,156
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(1,123,153)	(922,405)
საერთო მოგება	1,604,993	2,067,751
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,300,897)	(1,327,421)
ხელფასები და სხვა სარგებელი	(1,475,607)	(1,269,526)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	(67,728)	(34,320)
სხვა შემოსავლები	7,546	632
სხვა ხარჯები	(519)	(166)
ზარალი პროცენტებამდე და საკუროს სხვაობამდე	(1,232,212)	(563,050)
საპროცენტო ხარჯი	(301,767)	(231,494)
ზარალი საკუროს სხვაობიდან	(137,716)	(242,908)
ზარალი დაზღვევამდე	(1,671,695)	(1,037,452)
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ზარალი	(1,671,695)	(1,037,452)

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**3.1 ვალუტა**

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის. უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მანქანა-დანადგარები	4-5
ოფისის აღჭურვილობა	3-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მისი საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიას გააჩნია როგორც მზა პროდუქცია,

ასევე ნედლეული და ნახევარფაბრიკატები. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

3.4 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანი იყო გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

3.5 სესხები

სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება მიღებული თანხით, რომელსაც აკლდება საკომისიო და სესხის აღების ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სესხების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3.6 შემოსავალი რეალიზაციიდან

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა

გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.7 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

3.8 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. ასევე ყოველდღიური საქმიანობისთვის კომპანიას აქვს ფული სალაროში.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-20	31-12-19
ფული სალაროში	8,001	7,298
ფული საბანკო ანგარიშებზე	690	5,745
სულ	8,691	13,043

5. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად მოიცავს კომერციული ბანკებისგან მისაღებ ანგარიშებს, რომელიც წარმოიქმნება მაშინ როცა კომპანია ტერმინალით იღებს გადახდას მომხმარებლებისგან.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო მოთხოვნები	31-12-20	31-12-19
მოთხოვნები ბანკებისგან	-	31,360
სხვა მოთხოვნები	2,784	55
სულ	2,784	31,415

6. მარაგები

კომპანიას გააჩნია როგორც მზა პროდუქცია, ასევე ნედლეული და ნახევარფაბრიკატები.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

მარაგები	31-12-20	31-12-19
ნედლეული და მასალები	62,038	85,373
მზა პროდუქცია	17,318	16,517
სულ	79,356	101,890

7. ძირითადი საშუალებები

2020 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ჩამოწერა	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მანქანა-დანადგარები	54,607	586	-	55,193
ოფისის აღჭურვილობა	22,227	6,488	(331)	28,384
ავეჯი და სხვა ინვენტარი	240,446	10,390	(1,983)	248,853
სულ	317,280	17,464	(2,314)	332,430

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	ჩამოწერა	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
მანქანა-დანადგარები	10,656	8,576	-	19,232
ოფისის აღჭურვილობა	21,173	11,536	(331)	32,378
ავეჯი და სხვა ინვენტარი	71,152	51,746	(311)	122,587
სულ	102,981	71,858	(642)	174,197

2019 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მანქანა-დანადგარები	27,564	27,043	54,607
ოფისის აღჭურვილობა	12,804	9,423	22,227
ავეჯი და სხვა ინვენტარი	149,965	90,481	240,446
სულ	190,333	126,947	317,280

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
მანქანა-დანადგარები	3,393	7,263	10,656
ოფისის აღჭურვილობა	11,927	9,246	21,173
ავეჯი და სხვა ინვენტარი	28,640	42,512	71,152
სულ	43,960	59,021	102,981

8. სავაჭრო ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-20	31-12-19
იჯარის ვალდებულება	2,080,714	1,842,258
ვალდებულება მომწოდებლების მიმართ	273,587	323,577
სულ	2,354,301	2,165,835

9. სესხები

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სესხები	31-12-20	31-12-19
სესხები ბანკებისგან	2,615,145	1,452,382
სესხები მეკავშირე საწარმოებისგან	1,520,076	2,524,556
სულ	4,135,221	3,976,938

მეკავშირე საწარმოებიდან სესხები დენომინირებულია ლარში, ხოლო ბანკებისგან სესხები დენომინირებულია ევროში. ლარის სესხების ეფექტური საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 12-16% შუალედში, ხოლო ევროს სესხებისა 6-8% შუალედში. 2020 და 2019 წლებში საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა ლარის სესხებზე შეადგინა 14% ხოლო ევროს სესხებზე 7%.

10. საწესდებო კაპიტალი

2019 წელს დამფუძნებელმა კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეამცირა 12,600 ლარით, ხოლო 2020 წელს, პანდემიის მიერ გამოწვეული ფინანსური კრიზისიდან გამომდინარე, კაპიტალი გაზარდა 1,230,605 ლარით.

11. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს სარესტორნო ბიზნესი, მათ შორის ადგილზე მომსახურებისა და მიწოდების სერვისი.

2020 და 2019 წლების განმავლობაში დარიცხული შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	31-12-20	31-12-19
შემოსავალი ფიზიკური პირებისგან	887,939	2,653,711
შემოსავალი კომპანიებისგან	6,127	74,435
სულ შემოსავალი	894,066	2,728,146
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(365,767)	(1,123,604)
საერთო მოგება	528,299	1,604,542

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31-12-20	31-12-19
იჯარის ხარჯი	175,982	721,442
კომუნალური ხარჯი	80,708	122,058
ჰიგიენისა და სადეზინფექციო ხარჯები	59,833	68,735
მუსიკის ხარჯები	9,776	57,424
ბუღალტრული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	33,526	39,985
რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯები	25,197	24,683
ტრანსპორტირების ხარჯები	16,626	24,558
საბანკო ხარჯი	18,991	19,055
საკანცელარიო ხარჯები	1,681	15,111
დელივერი სერვისის ხარჯი	28,469	66
სხვა ხარჯები	72,599	196,250
სულ	523,388	1,289,367

ჯამური იჯარის ხარჯიდან 2020 წლის განმავლობაში მეკავშირე საწარმოს მიმართ იჯარის ხარჯმა შეადგინა 145,652 ლარი, ხოლო 2019 წელს 705,245 ლარი (იხ. შენიშვნა 14).

13. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	31-12-20	31-12-19
სახელფასო ხარჯი	507,002	1,522,739
ბონუსი, პენსია და სხვა სარგებელი	108,418	134,843
სულ	615,420	1,657,582

14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

15.1 სესხები

2020 და 2019 წლების განმავლობაში კომპანიას აღებული ჰქონდა სესხები მეკავშირე საწარმოებისგან, რომელთა ჯამურმა ბალანსმა 2020 წლის ბოლოს შეადგინა 1,520,076 ლარი ხოლო 2019 წლის ბოლოს 2,524,556 ლარი.

15.2 მენეჯმენტის კომპენსაცია

2020 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 37,654 ლარი, ხოლო 2019 წელს 529,359 ლარი. 2020 წელს მნიშვნელოვანი შემცირება განპირობებული იყო პანდემიის მიერ გამოწვეული კრიზისით.

15.3 იჯარა

კომპანია ძირითად საქმიანობას ახორციელებს შენობაში, რომელიც ნაქირავები აქვს მეკავშირე საწარმოსგან. 2020 წლის განმავლობაში აღნიშნული ობიექტის იჯარის ხარჯმა შეადგინა 145,652 ლარი, ხოლო 2019 წელს 705,245 ლარი. იმავე მეკავშირე საწარმოს მიმართ იჯარის ვალდებულებამ 2020 წლის ბოლოს შეადგინა 2,080,714 ლარი ხოლო 2019 წლის ბოლოს 1,842,258 ლარი.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2021 წელს კომპანიაში განხორციელდა დირექტორისა და მენეჯმენტის გუნდის ცვლილება. შედეგად, დირექტორად დაინიშნა უნსალ იელთან. ცვლილების შემდგომ, კომპანია ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს მისი ძველი ლოკაციიდან მომხმარებლებისთვის სარესტორნო მომსახურების მიწოდებას.